№ 2776
კვირა,
20 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2776
კვირა,
20 მარტი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ნატალია მათეს ასული და ვასილ იაკობის ძე გლურჯიძენი, დარია ვასილის ასული კნ. ლიონიძისა, ალექსანდრა ვასილის ასული კნეინა ციციშვილისა და ვლადიმერ ვასილის ძე გლურჯიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველნი ორი შვილისას და დანარჩენნი ძმისას

გიორგი ვასილის ძე გლურჯიძისას.

პანაშვიდი დანიშნულია თელავს სობოროში 21 მარტს წირვის შემდეგ. ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთა პატივი გვცენ. (3—6.—3)

ივანე, ანდრო და კოტე ქრისტესიას ძენი, ქეთო ქრისტესიას ასული, ბარბარე იონის ასული და ეკატერინე სვიმონის ასული ხუცაიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და გარდაცვალებულის ამხანაგთ რომ წლის წირვა და პანაშვიდი

ნიკო ქრისტესიას ძის ხუცაიძის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიაში სამშაბათს, 29 მარტს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—117—1)

მოსწავლეებად ნამყოფი ქალები და ვაჟები სთხოვენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს მობრძანდნენ პანაშვიდზე

ქრისტეფორე მიქაელიანის

სულის მოსახსენებლად კვირას, 20 მარტს, 12 საათზე, ვანქის ტაძარში. (1—უ.—1)

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულის

ივანე გაბრიელის ძის თულაშვილისა

გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ და საზოგადო დაწესებულებას, რომელთაც პატივი სცეს და მონაწილეობა მიიღეს მათ მწუხარებაში (1—1899—1)

წელიწადი — სანატორიუმი — მეორე

4400 ფუტის სიმაღლე. და საზაფხულო სამყოფი 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

◆ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა ◆

პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჭაობის ციებით შეპყრობილნი და სხვა.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

დაწვრილებითი ცნობების შეტყობა პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—1).

რაც-კი ახალია ამ სეზონში

მოსდის

ყოველ კვირა ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის შეკერილ ტანისამოსის კავკასიის პირველ ამხანაგობის საქარხნო დეპოს, ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ბ-ნთ ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მუშტარს შეიძინონ ჩვენ ქარხანასა და სახელოსნოებში ინგლისის და საფრანგეთის სამოდო ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელი ფასონების ქალთა ზედა ტანისამოსი, კაცთა და ბავშვთა კოსტუმები და პალტოები ყოველგვარ მატერიისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთ ქარხნებზე დამზადებული. ფასი ულ მცირეა. შეუდარებლად. (3—3)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

წლიური კრება

ანიშნულია კვირისათვის, 20 მარტს, დილის 10 ათზედ, საამხანაგო ქარხანაში, ელისაბედის ქუჩაზედ, სახლი № 25.

კრება მეორედ ინიშნება თანხმად ჩვენი წევ ების 41 მუხლისა, და რამდენი წევრიც უნდა აესწრას კრება მაინც კანონიერად ჩაითვლება ა ყოველგვარი გარდაწყვეტილება სავალდებულო ქნება არ დამსწრე წევრთათვისაც. განსახილველი საგნები იგივეა რაც 13 მარტისთვის გამოცხადდა. უმორჩილესადა ვსთხოვთ ჩვენს წევრებს ეს განცხადება ერთმანეთში გაავრცელონ.

გამგეობის თავმჯდომარე გიგო თოიძე. (2—6.—2)

ტარა სირაჯხანაში, სიონის ტაძართან, შარბაბჩევის სახლებში გავხსენი სასტუმრო ოთახები

„ძველი ტფილისი“,

ოთახის ფასები ხელ-მისაწვდენია—40 კაპეიკიდან ნეთ ნახევრამდის. პატივცემით ფილიპე ივანის ძე კალაიშვილი და ბაბაშვილი. (3—1)

სასტალრო სახელოსნო

იოსებ მაჭავარიანისა

ებს შემკვეთთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის მისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული ბი და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლე- ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—3)

თაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა

„კოლხიდა“-სთან

იდება: ნერგები დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). თესლეულობა—აბრეშუმისა (თეთრი და ყვითელი), ბამბისა, ბოსტნეულისა, სხვა. შამბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასო. (10—6.—3)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ 31 მარტს, დილის 11 საათზე, თავ. ულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა), მოხდება საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა.

განსახილველი საგნები:

1. თავად-აზნაურთა უქვეშევრდომილესი ადრესი მისს იმპერატორებით უდიდებულესობას, 2. განხილვა და შემუშავება ტფილისის გუბერნიის გლეხთა დასამშვიდებლად. (3—6.—2).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. ა. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. ვულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
დ. დ. [illegible].—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. ე. მაჭაბელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
გ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. [illegible].—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. [illegible].—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ავადმყოფები მორიგებით. კრავატები დღეში [illegible] 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდთან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—25)

ბავშვების ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.

მიხეილის პრ. № 115. ნემცების ეკკლესიის გვერდით. ტელეფ. 729. (30—91—13)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—40)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მამალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—408—39)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

18 მარტი

ტანჟერი, 18 მარტი („რეიტ.“). დილის ცხრის ნახევარ საათზე მოვიდა გერმანიის იმპერატორი; მას საფრანგეთის კრეისერები ზარბაზნების სროლით მიეგებნენ. ნაპირზე გადასვლისას მან მიიღო სულთნისა და სადიპლომატო კორპუსის წარმომადგენლები.

პეკინი. ჩრდილოეთ ჩინეთში დიდი წვიმები იყო. მცხოვრებლებს იმედი გაუცოცხლდათ, კარგი მოსავალი იქნებაო და დამშვიდდნენ.

ტანჟერი, 18 მარტი (ჰავასი). გერმანიის იმპერატორი გადმოვიდა ნაპირას დილის 11 ს. და 45 წ.; მას მიეგება აბდელ მალეკი, რომელსაც დიდხანს ემუსაიფა ვილჰელმი—მან მიიღო მაროკოს მკვიდრების წარმომადგენელნი. სადიპლომატო კორპუსი არ იყო. დამოქნასთან იმპერატორს დაუხვდნენ საფრანგეთის ჯარები, რომელნიც ფრანგულ არიებს უკრავდნენ.

პეტერბურგი. 18 მარტი. „ბირჟ. ვედომოსტები“-ს გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ რუსეთ-ჩინეთის ბანკის ზარალის შესახებ, მუკდენიდან უკან დახევის დროს, ჩვენ გვთხოვენ განვაცხადოთ შემდეგი: როცა უკან იხევდა ქარავანი, რომელსაც რუსეთ-ჩინეთის ბანკის ქონებაც მოჰქონდა, 600 ფუთი ვერცხლი და 1,500,000 მანეთი ფული, ის არტილერიისა და თოფების ცეცხლს ქვეშ მოექცა. ქარავანი მიატოვა მცველებმა. მაგრამ შემდეგ ჯარმა იპოვნა ყუთების უმეტესი ნაწილი და ხარბინში მოიტანა. მთლად მოიტანეს 1,400,000 მანეთი და 525 ფუთი ვერცხლი. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბანკი ამით არავითარ წაგებას არ იქნება.

ბერლინი, 18 მარტი. რეიხსტაგმა ცოტა ცვლილება შეიტანა ბიუჯეტში და ისე მიიღო.

ბათუმი, 18 მარტი. გუშინ, ბჭობა ჰქონდათ ქალაქის სამმართველოსა და ნავთის გამგზავნთა გემების აგენტებს და გადასწყვიტეს, დაიარსონ კომისია მუშათა კითხვის მოსაწესრიგებლად. ჰფიქრობენ გახსნან საბირჟო კომიტეტი.

ლიბავა. საბჭომ უარი უთხრა პოლიციელებს ჯამაგირის მომატებაზე. ამზადებენ კერძო სავაჭრო სკოლის პროექტს.

ვიატკა, 18 მარტი. გუბერნატორმა გახსნა საერობო კრება და განაცხადა, ხალხს ძლიერ უჭირს გადასახადის გადახდა. გასაწერი გადასახადის გადიდება შეუძლებელია. შემთხვევები იყო ისეთი, როცა უარს ამბობდნენ საერობო გადასახადზე. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რათა ნაწილი იმ შერიისა, რომელიც შეკრებილია საინტენდანტოსთვის, გუბერნიაშივე დაარჩინონ. ათი-ათასი მანეთი გადადეს ხოლერასთან საბრძოლველად. დაადგინეს, სთხოვონ მთავრობას, რათა მან გაიღოს ხოლერასთან საბრძოლველი ხარჯი, თვითონ ბრძოლა კი სენთან ერობას გადასცეს.

კამიშინი. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, გამოაცალკევონ ქალაქი და საერობო დაწესებულებათ გადააკეთონ იგი.

სამარა. საბჭომ დააზღვევინა საქალაქო პერსონალი.

სიმბირსკი. საბჭო შუამდგომლობს, ნება მიეცეს ბიბლიოთეკებს იქონიონ ყველა გამოცემები, რომელნიც ცენზურისაგან ნება დართულია, ნება მიეცეთ ქალაქის სკოლების მასწავლებლებს შეიკრიბონ ხოლმე ყოველ კვირაში და გაიმართოს სიტყვა მასწავლებელთა ურთიერთ შორის დამხმარებელ საზოგადოებისა.

კოსტრომა. საბჭომ მიიღო მოსამზადებელ კომისიის მოხსენება, რომელიც შეეხება საქალაქო დებულების სასურველ შეცვლას. ამ ცვლილებების დედა აზრით, ამორჩევის ნება ორივე სქესის პირებს ეკუთვნის.

პენზა, 18 მარტი. საბჭოს 106 კაციდან განცხადება მოუვიდა, ქალაქის საზოგადო სამმართველომ ღონე იღონოს, რათა მცხოვრებლები დაიფარონ ძალ-მომრეობისაგან და აღძრას შუამდგომლობა პოლიციის ქალაქისათვის დაქვემდებარებაზე.

სევასტოპოლი, 18 მარტი. დაიწვა „რუსეთის საზღვაოსნო საზოგადოების“ საქონლის საწყობი. ზარალი 70,000 მანეთია.

ხარკოვი. საგუბერნიო საქმეთა საბჭომ გადასწყვიტა, გახსნას 60 საქმეთა—საკვები ბარაკი, ხოლერა თუ გაჩნდა იმ შემთხვევისთვის და აგრეთვე 500 ბარაკი ხოლერიან ავადმყოფთათვის.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა, ქალაქი ბელოსტოკი ისევ ისე გაძლიერებულ დაცვის დებულების ქვეშ დარჩებაო. ამასთანავე ეძლევათ სარატოვის, პოლტავის, მაგილიოვის, მინსკის, ლიფლიანდიის, ნიჟეგოროდის და ტომსკის გუბერნატორებს საგანგებო მინდობილებანი საზოგადოებრივ წესიერების და მშვიდობიანობის დასაცველად. მთელი ვიტებსკის გუბერნია გაძლიერებულ დაცვის ქვეშ გამოაცხადეს. პეტერბურგის სააგენტო იუწყება, ზეთის გადაზიდვის პირობების შეცვლა [illegible] და მიმდინარე წლის [illegible] ვაგონ-[illegible] გადაიტანენ ზეთსო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

14 მარტი

ტოკიო, 18 მარტი. აქ სრული სიჩუმეა ზავის ჩამოგდებაზე. გაზეთი „კოკუმინი“ კითხულობს, რა მოუვა რუსეთს, თუ იგი განაგრძობს ამ მისთვის დამაქცეველ და უაზრო ომს. ომის გაგრძელება იაპონიის კი არა, ყველა სახელმწიფოების ერთ-სულოვან აზრის წინააღმდეგი იქნებაო. გაზეთ „ასახ“-ის აზრით, საფრანგეთის მთავრობამ მიგვახვედრა, რომ ბალტიის ესკადრის ყოფნა საფრანგეთის წყლებში მოუხერხებელიაო. გაზეთის სიტყვით, ამითი აიხსნება იმ ფლოტის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, რომელსაც რუსეთი წყნარ ოკეანეს მეორე ესკადრას უწოდებს.

ბერლინი, 17 მარტი. პარიზში აზრად აქვთ, გამართონ კონგრესი ზავზე მოსალაპარაკებლად.

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატების მთავრობამ ცოტათი შესცვალა ის გადაწყვეტილება, რომლის ძალით იგი უარზე იდგა ზავის შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე, თუ ან რუსეთი, ან იაპონია არა სთხოვდა მას ამას. ეხლა შეერთებული შტატები მზათ არიან ყველაფერი გააკეთონ, რის მიღებაც კი შეეძლება ამა თუ იმ მოპირდაპირე მხარეს. მთავრობა ძლიერ არის დაინტერესებული ყველაფერში, რაც კი ამერიკის ინტერესებს ეხება და ამიტომ წინააღმდეგია იმ სამშვიდობო კონფერენციისა, რომლის შედეგს ვერავინ ვერ დაინახავს წინ-და-წინ.

ნიუ-იორკი. ამერიკა ცდილობს გაიცნოს იაპონიის მოთხოვნები. ამერიკის გაზეთები აცხადებენ, ჩინეთის ხელ შეუხებლობა არ უნდა დაირღვესო.

ლონდონი, 18 მარტი. „ტაიმს“-ის მეთაური წერილი ამბობს მაროკოს შესახებ: თუ ისეთმა გაზეთმა, როგორიცაა ვენის „ფრემდენბლატტი“, მიატოვა თვისი ჩვეულებრივი სიფრთხილე და აცხადებს, რომ ბიულოვის სიტყვა, მაროკოს საკითხის შესახებ, კიდევ უფრო აძლიერებს სიმპატიას გერმანიის იმპერატორის მოსვლისადმი და საფრანგეთი ეხლა-კი დარწმუნდა ვილჰელმის განზრახვების სამართლიანობასა და მის მშვიდობიანობის მოყვარეობაშიო, მაშინ დრო დადგა, სხვა დაინტერესებულმა სახელმწიფოებმაც ამოიღონ ხმაო. გაზეთ „ფრემდენბლატტი“ ამ დასკვნამდე, ალბათ, ისე მივიდა, რომ არც-კი იცოდა, თუ ტანჟერის საქმეების გამო გერმანიის რწმუნებული საფრანგეთის სამხედრო გემით წავა ინგლისის დედოფლის შესახვედრათ. ეს შესანიშნავი დემონსტრაცია იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ მტკიცეთ გვაქვს გადაწყვეტილი, სავსებით ავასრულოთ ჩვენი ხელშეკრულობა საფრანგეთთან და აღთქმული დახმარება გავუწიოთ მას. ბრიტანიის ხალხი ძლიერ მაღლა აყენებს საფრანგეთთან შეთანხმებას და მომავალი შეხვედრა ორივე სახელმწიფოს ესკადრებისა ორივე ხალხის გულითად მეგობრობის განმამტკიცებელი იქნება. ინგლისი დარწმუნებულია, რომ კავშირი საფრანგეთთან მშვიდობიანობის ერთ უმთავრეს ბურჯთაგანია. როგორც სჩანს, ვენაში ის აზრია, რომ ამ სადაო საკითხში, რომელიც გერმანიამ აღძრა, ჩვენ საფრანგეთს უყურადღებოთ დავტოვებთ. თუ ასეთი რწმენა კიდევ გაგრძელდა, ჩვენ დაუყოვნებლივ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, დავარღვიოთ ასეთი აზრი.“

ადენი. პორტ-ლუისიდან (წ. მავრიკიის კუნძ.) იუწყებიან, ბალტიის ფლოტის სანახშირე გემები გონკონგში მიდიან ბატავიის გზითო.

სოხუმი, 18 მარტი. გუშინ, საღამოს ათ საათზე, დაეცნენ მაღაზიას ავარკას გასაძარცვად. სულ ათი კაცი იქნებოდა. წაიღეს ფული, ოქროსა და ვერცხლის ნივთები და მიიმალნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარის უკან დახევა. გენ. ლინევიჩი იუწყება: 17 მარტს რკინის გზის აღმოსავლეთით იაპონელთა ცხენოსანი რაზმები მოქმედებდნენო. დიდი თოვლი მოვიდა, ქარი დაწყნარდაო. რა ადგილებში დგას ამ ჟამად რუსის ჯარი, ან საით იხევს, ამაზე არც მთავარ-სარდალი, არც კერძო დეპეშები ხმას არ იღებენ.

„რუს“-ის კორესპონდენტი 12 მარტის თარიღით იუწყება გუნჩჟულინიდან: ომის ასპარეზზე ჯერ-ჯერობით სიწყნარეა. ჩინელები იუწყებიან გირინიდან, მარშალმა ოიამამ მოსწერა გირინის ძიან-ძიუნს, 28 მარტს გირინში შემოვალთო. ბოლოს დროს იაპონელები წინადვე ატყობინებდნენ ჩინელებს, ამა და ამ დღეს შემოვალთ მუკდენში და სხვა დიდ ქალაქებშიო და ხან-და-ხან ასრულებდნენ კიდევაც თავიანთ სიტყვას, ვნახოთ ეხლაც აასრულებენ, თუ ვერაო.

„რუს“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: იაპონიის ჯარის ფეხ-და-ფეხ დევნა იმდენად საშიში არაა, რამდენადაც გვერდიდან შემოვლაა საშიში. თუ იაპონელები გირინისა და ციციკარისაკენ ჯარს გაჰგზავნიან, მაშინ კი ხელ-ახლად დიდ განსაცდელში ჩააგდებენ რუსის ჯარს. მუკდენთან ბრძოლაში გენ. კავამურას არმიიდან მხოლოდ ერთი დივიზია იღებდა მონაწილეობას, ამ არმიის მომეტებული ნაწილი-კი ჩრდილოეთ კორეიაში იდგა და იქნება იქიდან მდ. სუნგარისა და იმის ტოტების ხეობით პირ და პირ გირინისაკენ გაემართა. გირინი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია; აქედან მდ. სუნგარიზე ნავთ მიმოსვლა იწყება და ამიტომ გირინი მშვენიერ ბაზას წარმოადგენს. ტოკიოდან იუწყებოდნენ, მდ. ტუმენის (ჩრდილოეთ კორეიაში) სამხრეთით არც ერთი რუსი აღარ დარჩაო. ცხადია, გენ. კავამურას არმია ტუმენის ხეობამდე მისულა; იქიდან რამდენიმე კარგი გზა მიდის გირინისაკენ. ციციკარისაკენ-კი, არა მგონია, რომ დიდი ჯარი გაგზავნონ იაპონელებმა. იქით, ალბად, ის ჯარი წავა, რომელიც ფაკუმენთან იდგა. დიდი შეცდომა იქნება რისამე გადაწყვეტით თქმა, რადგან ამისათვის საკმაო ცნობები არა გვაქვს ხელთა, მაგრამ მით მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ იაპონელები შესანიშნავად მომზადებულან მუკდენიდან ჩრდილოეთისაკენ გასალაშქრებლად. ლიაოიანმა ბევრი რამ ასწავლათ. მაშინ მთელი თავიანთი ჯარი ლიაოიანთან შეყარეს, ამიტომ ცოტა მანძილზე მოქმედებდნენ, ეხლა-კი მუკდენს გარდა, ფაკუმენტან (ტელინის დასავლეთით) ჰყავდათ ჯარი, გენ. კავამურას არმიის მომეტებული ნაწილი კორეაში იდგა, იქიდან პირდაპირ გირინისაკენ გაემართა და, ალბად, რუსებზე ადრე დაიჭერს გირინს, მით უმეტეს რომ რუსის ჯარს გირინის დაჭერა საქმეს გაუჭირვებს: ან რკინის გზა უნდა მიატოვოს, ან არა და თავისი უამისოდაც დასუსტებული ფრონტი უფრო დაასუსტოს, ასე რომ რუსის ჯარის მდგომარეობა ჯერ გამორკვეულად არ ჩაითვლება: იაპონელები მეტად გაბედულად იქცევიან და შესანიშნავად მოსაზრებულ პლანის თანახმად მოქმედებენ. ამ პლანის ნახევარიც რომ შეასრულონ, ისიც დიდი გამარჯვება იქნება იმათთვის.

გ. გარინი იუწყება 12 მარტის თარიღით: ჩინელები ამბობენ, იაპონელები ბეჯითად აპირობენ გალაშქრების განგრძობას და რუსის ჯარის ჩრდილოეთისაკენ განდევნასაო. თუ რუსის ჯარი უკან დახევას განაგრძობს, იაპონელებს აღმოსავლეთ მხარეს გირინისა და ნინგუტასაკენ გალაშქრება გაუადვილდებათ, დასავლეთ მხარეს ბოდუნესა და ციციკარისაკენ. მდ. სუნგარიმდე რომ მიაღწიონ, იაპონელები ადვილად მოუვლიან გვერდიდან რუსის ჯარს, თავიანთ მარჯვენა ფრთას დაუკავშირებენ მეხუთე არმიას (გენ. კავამურას არმიას) და ვლადივასტოკს გზას მოუჭრიან, ამავე დროს იაპონელები ციციკარისა და თვით ხაილარისაკენაც (ხაილარი ხარბინიდან დაახლოვებით 600 ვერსტზე მდებარეობს დასავლეთით, რკინის გზის პირად) გაილაშქრებენ და რკინის გზას მოსჭრიანო. ვლადივასტოკის მხარეს გალაშქრება უფრო ადვილია, მაგრამ უფრო დიდი ხანი მოუნდება და ის მნიშვნელობა არ ექნებაო. ჩინელები ამბობენ, იაპონელების აზრით დასავლეთისაკენ (ციციკარისაკენ) გალაშქრებას უფრო დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება და ომის ბედს უფრო სწრაფად გადასწყვეტსო. იაპონელებმა რკინის გზის დასავლეთით, სინმინტინ-ციციკარ-ხაილარის გზაზე უზარმაზარი საწყობები გამართესო. თუ იაპონელები აღმოსავლეთიდან მოგვივლიან, მაშინ ყველაზე მძიმე როლი ჩვენს (რუსის) მარცხენა ფრთას შეხვდება. როგორ მოიქცევა რუსის ჯარი, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს. ყოველ

შემთხვევაში ომის მესამე, უკანასკნელი და გადამწყვეტი ხანა დაიწყო. რუსის ჯარი საბრძოლველად ემზადება და კიდევ გამარჯვების იმედი აქვს. ჩინელები გვერიდებიან და უნდოთ გვიცქერიან.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ხარბინიდან: გენ. ლინევიჩი თავის არმიით სადგურ ტალაჩჟოუმდე დაიხევს უკან და იქ შედგებაო. ტალაჩჟოუ მდ. სუნგარიზე მდებარეობს რკინის გზის პირად. კაიუანიდან ხარბინამდე ტალაჩჟოუ ერთად-ერთი ადგილია, სადაც რუსები ცოტა ხნით მაინც შეიძლებენ იაპონიის არმიის შეყენებას, მაგრამ ტალაჩჟოუს ისეთი ადგილ-მდებარეობა აქვს, რომ იაპონელები იქაც შეიძლებენ რუსის ჯარის გვერდიდან შემოვლასა და იქნება მომწყვდევასაცაო.

„ნ. ვინ. ტაგებლატ.“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: ინგლისის სამხედრო წრეები გატაცებით ჰკითხულობენ, რა გზით წავა გენ. ლინევიჩი ჩრდილოეთისაკენაო. თუ გირინისაკენ წავა, რკინის გზას მოჰშორდება და მხოლოდ ვლადივოსტოკს მისვლასღა შეიძლებსო, და თუ ხარბინისაკენ წავა, მაშინ იაპონელები ორსავე მხრიდან გზას უყელებენ და მოიმწყვდევენო. გენ. ლინევიჩმა უსათუოდ ვლადივოსტოკის მეციხოვნე ჯარი უნდა მიიშველიოს, ერთად ერთი ხსნა ეს იქნებაო. („ო. ნ.“).

ვლადივოსტოკი. „ნ. ვინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: ინგლისის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ: თუ გენ. ნოგი თავის არმიით ალყას შემოარტყამს ვლადივოსტოკს, მალე აიღებს ციხესაო. ვლადივოსტოკის საქმე წასულიაო. („ო. ნ.“).

„ნოიე ფრაიე პრესე“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: იაპონელები ეხლა უმთავრესად ვლადივოსტოკის აღებას ეცდებიან. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ ციხეს. პორტ-არტურის დაცემის შემდეგ რუსეთს წყნარ-ოკეანის პირად ერთად-ერთი ციხე და ნავთ-სადგური დარჩა—ესაა ვლადივოსტოკი. თუ ვლადივოსტოკიც დაეკარგა, მაშინ ციმბირსაც არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება რუსეთისათვის: ხარჯის მეტს აღარას მოუტანს. ვლადივოსტოკი რომ არა ჰქონოდა, რუსეთი სულ სხვანაირად მოიქცეოდა. თუ იაპონელები პორტ-არტურის აღებასა და სხვა ადგილების დაჭერას არ დასჯერდებოდნენ და რუსეთს კონტრიბუციასაც მოსთხოვდნენ, რუსის ჯარი მაშინ არხეინად დადგებოდა სადმე ხარბინსა ან ციციკარში, მაშველ ჯარს მოუცდიდა და თუ საჭიროდ დაინახავდა, ციმბირისაკენაც დაიხევდა. იაპონია იძულებული იქნებოდა, შეჰრიგებოდა, რადგან მაშინ ვერაფერ ღონისძიებით ვერ მიაღებინებდა თავის პირობას რუსეთს. მაგრამ რუსეთს წყნარ ოკეანეს პირად ერთად-ერთი ბურჯი და ნავთ-სადგური დარჩა და ვლადივოსტოკის გულისათვის იძულებულია ომი განაგრძოსო. („ო. ნ.“).

გაცრუებული იმედი. „სინ ოტეჩესტვა“-ს ერთი მცოდნე პირი ატყობინებს: მუკდენის მიტოვების რამდენისამე დღის წინად, ფუშუნის მაღაროების ინჟენრებმა რჩევა ჰკითხეს გენ. კუროპატკინს, ახალი ძვირფასი მაშინები მივიტანოთ მაღაროებში, თუ არაო. კუროპატკინმა უპასუხათ, ნურაფრისა ნუ გეშინიანთ, არხეინად მიიტანეთ მაშინები, რადგან მუკდენს-კი არას დროს არ დავანებებ იაპონელებსაო. მთავარ-სარდლის რჩევით, მაშინები მაღაროებში წაიღეს რკინის გზის მატარებლით და მიიტანეს თუ არა, მაშინვე იაპონელებმა ჩაიგდეს ხელშიო.

ბევრი იმედი გააცრუვა მუკდენის ბრძოლამ. არა თუ მარტო იმედი, გენ. კუროპატკინს მთავარ-სარდლობაც დააკარგვინა.

ვისი ბრალია?

ქვემოდ ვბეჭდავთ ორ წერილს გლეხთა დღევანდელ მოძრაობისა და პრესსის შესახებ. ორისავე წერილის ავტორები პროტესტს აცხადებენ იმ თავად-აზნაურთა წინააღმდეგ, რომელნიც urbi et orbi გაიძახიან—ჩვენი დღევანდელი უბედურება პრესსის ბრალიაო. სამწუხაროა, რომ ასეთ წერილების დაბეჭდვა დაგვჭირდა; სამწუხაროა, რომ უბრალო ჭეშმარიტების ახსნა და განმარტება შეიქნა საჭირო.

პრესსა, რამდენადაც ეს იმისთვის შესაძლებელი იყო ჩვენს პირობებში, ყოველთვის ქადაგობდა ყოველგვარ ძალმომრეობის წინააღმდეგ; ეხლა-კი, თურმე ნუ იტყვით, იგი თანაუგრძნობს ძალმომრეობას, აკლებას, ჟლეტვას. სად იპოვეს, სად წაიკითხეს თავად-აზნაურებმა ამგვარი თანაგრძნობა, ასეთი საოცარი ქადაქება?! ჩვენი პრესსა ამტკიცებდა და ამტკიცებს დღესაც, რომ გლეხთა დღევანდელი მოძრაობა გამოწვეულია ღრმა ეკონომიურისა და პოლიტიკურის მიზეზებით; რომ ამ მოძრაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად საჭიროა ძირითადი რეფორმები; რომ იარაღითა და ძალით არ განიკურნება ხალხის ტკივილები; რომ შესაფერისი რეფორმები დაამყარებენ სასურველ მშვიდობიანობას და ყველას—გლეხსაც, თავადსაც, მოქალაქესაც—მიანიჭებენ ნორმალურ ცხოვრების პირობებს. ამ აზრების მტკიცებას უნდებოდა ჩვენი და საუკეთესო რუსული პრესსაც, თანაც ირკვევდა რეფორმებს და აღნუსხავდა სხვა-და-სხვა საჭირო ღონისძიებას. პრესსა ამბობდა, თუ ესა და ეს რეფორმები არ მოხდა, ქვეყნის საქმეები უფრო აიწეწება, ნორმალური მსვლელობა შეფერხდება და მშვიდობიანი ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნება... რამდენად უგუნური უნდა იყოს ადამიანი, რომ აქედან ის დასკვნას, ვითომ პრესსა ქადაგობდეს ძალ-მომრეობას, სისხლის ღვრას, აწიოკება-აოხრებას?!

ჩვენ გვესმის ქართლელ თავად-აზნაურთა შეწუხება, გვესმის მათი აღელვება, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვსთქვათ მაინც ჩვენი ღრმა რწმენა, რომ სასტიკ ღონისძიებათა მიღებით საჭირ-ბოროტო საკითხები არ გადაწყდება. დღეს ცხოვრებამ წამოაყენა მთავარი საკითხები პოლიტიკურ და ეკონომიურ ცვლილებათა შემოღების შესახებ და ყველა მოვალეა ხელი შეუწყოს ამ ცვლილებათა მოხდენას. ჩვენც მხოლოდ ამას ვქადაგობთ; მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, როგორ უნდა გაწესრიგდეს დღევანდელი ცხოვრება, რომ ყველას შეეძლოს მშვიდობიანი განვითარება-გაუმჯობესება თავის მდგომარეობისა. ჩვენ კი იმის ბრალსა გვდებენ, ვითომ ვისმე ვაქეზებდეთ! ქართლის გლეხობის დღევანდელი მოძრაობა სტიქიურია და ამიტომ ანორმალური; ხალხი შეუგნებლად მოქმედობს, იმიტომ რომ არ ესმის, რა საშუალებითა და რა გზით უნდა უშველოს თავის გაჭირვებას; არ ესმის, რომ ასეთ სტიქიურის ძალმომრეობით თავის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს. ეს ფრიად სამწუხაროა და სავალალო, მაგრამ პრესსას აქ ყველაზე ნაკლები დანაშაული უძევს. იგი, რამდენადაც შეეძლო, სულ იმის ცდაში იყო, აღენიშნა დღევანდელ ცხოვრების ცუდი პირობები და სწორე გზა ეჩვენებინა საქმეთა განკარგებისათვის. იგი ქადაგებდა ბეჭდვითი სიტყვისა და კრებათა თავისუფლებას, რათა ხალხის შეგნებულ ნამდვილ წარმომადგენლებს შეძლება ჰქონოდათ ხალხთან დაახლოვებისა; იგი ქადაგობდა ამა თუ იმ ეკონომიურ შეღავათის მინიჭებას, რათა ხალხის აუტანელი მდგომარეობა შემსუბუქებულიყო. პრესსის რა ბრალია, თუ ყოველ იმის ღაღადს ყური არ ათხოვეს და საქმე დღევანდელ გამწვავებამდე მიიყვანეს და რატომ თავად-აზნაურობა იმაზე არ არის გამწყრალი, ვისის მეოხებითაც არის დღეს ასე აწეწილ-დაწეწილი ჩვენი მდგომარეობა?!

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თავად-აზნაურობის დიდ უმეტესობას კარგად ესმის, ვინ და რამ გამოიწვია დღევანდელი აწიოკება; კარგად ესმის პრესსის დანიშნულებაცა და როლიც. დარწმუნებულნი ვართ, რომ მხოლოდ გზა დაბნეული უმცირესობა ჰყვირის დღეს პრესსის დანაშაულობაზე. ამიტომაც ამაზე ხმასაც არ ამოვიღებდით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღევანდელ ძნელ პირობებში ორიოდე ვაჟ-ბატონის მოუფიქრებელ ყვირილსაც გასავალი აქვს. **ვ.**

ორი პროტესტი

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მოგვცეთ, თქვენის გაზეთით გამოვუცხადოთ ჩვენი გულითადი უკმაყოფილება და პროტესტი იმ ზოგიერთ თავად-აზნაურთაგანს, რომელნიც კერძო ყრილობაზე ან სხვა დაწესებულებაში აცხადებენ სურვილს, რომ მიღებულ იქნას რაიმე რეპრესიული ღონისძიებანი წინააღმდეგ იმ მოძრაობისა, რომელმაც ამ ბოლოს დროს თავი იჩინა გლეხთა და მემამულეთა შორის. ამ უკმაყოფილებას ვაცხადებთ იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც მუდმივ სოფელში მცხოვრებნი და გლეხთა შორის განუწყვეტელი კავშირის მქონნი, ვიცით დაჭეშმარიტებით, რა შედეგი მოჰყვება ორივე მხრის საზარალოდ, თუ რაიმე სასტიკი ზომები იქმნა მიღებული. ჩვენის მხრივ ვურჩევთ ყოველ გონიერ თავად-აზნაურს, ნუ მოერიდება ამ მოძრაობას, შეუერთდეს მას და ერთი-ერთმანერთის დახმარებით მოაწესრიგონ საერო საზოგადო საქმე.

ამასთან გვაკვირვებს და გვაცობს დღევანდელ დიდმნიშვნელოვან და გაჭირვების დროს ასეთი სიჩუმე და უსაქმობა თავად-აზნაურთა ზოგიერთ წინამძღოლისა. ჩვენ გვგონია, სწორედ პირდაპირ მათ მოვალეობას უნდა შეადგენდეს, რომ მიიღონ მონაწილეობა, დაიარონ სოფლები, ინახულონ თავად-აზნაურნი, შეიტყონ მათი გაჭირვება, დაარიგონ რა ღონისძიებით არის შესაძლებელი დაბოლოვება ასეთ გამწვავებულ მდგომარეობისა.

ეხლა დადგა იმისთანა ჟამი, რომ უსაქმობა, უსიტყვობა არავის არ ეპატიება, დროა, ვისაც როგორ შეუძლიან, უშველოს გაჭირვებულს ყოველ წოდების კაცს.

დასასრულ საჯაროდ, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ის პირი, რომელიც ჩვენის დედაენისა და ჩვენის მკვდრეთით აღდგომილ ქართულ პრესის წინააღმდეგი იქმნება და რაიმე ვნების მოტანას ეცდება, ის პირი მიგვაჩნდება ჩვენ პირად მოსისხლე მტრად.

ვთხოვთ უმორჩილესად სხვა ქართულ გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი.

ლუარსაბ ერისთავი.
ნიკოლოზ კეცხოველი.
ალექსან. ფავლენიშვილი.

ბატონო რედაქტორო!

6 მარტს ქართლელ თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე გამოუთქვამთ ის აზრი, ვითომც გლეხთა მოძრაობა გამოწვეულ-გამწვავებულ იყოს ქართულ პრესსისაგან და რომ პრესსისავე შეზღუდვას შეეძლოს ამ მოძრაობის ჩაქრობა და დამყარება ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერებისა. ამგვარი აზრი დახავსებულ-დაძველებული და უსაფუძვლოა.

პრესსა არა ჰქმნის ცხოვრებას. პრესსა მხოლოდ ჰხსნის ცხოვრებას, ამა თუ იმ მოვლენის ხასიათს და შინაარსს, და ამგვარად ახსნილს უზიარებს მკითხველ საზოგადოებას. ნამდვილი პრესსა მისდევს ცხოვრებას და არა ცხოვრება პრესას. უკანასკნელი სარკეა ცხოვრებისა, გამომხატველი ცხოვრების მიმდინარეობისა, იმისა, რაც ნამდვილად ჰხდება ცხოვრებაში. მხოლოდ გამოჰხატავს ნამდვილს მოვლენას უფრო ნათლად, ცხადად და მკაფიოდ. ამით პრესსა ემსახურება საზოგადოების თვით-შეგნებას, მისს თვით-ცნობიერებას, შეგნებას იმისას, რაც ნამდვილად ჰხდება ცხოვრებაში და რაიცა გამოწვეულია სხვა მიზეზებით.

მაშასადამე პრესსის შეზღუდვით და თავისუფალ სიტყვის და აზრის მოსპობით შეუძლებელია ცხოვრების მიმდინარეობის შეჩერება. ეს ნათლად დაამტკიცა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრებამ. ევროპის სახელმწიფოთა მთავრობამ ყოველივე სასტიკი ზომები მიიღო პრესსის ასალაგმავად, თავისუფალ აზრის და სიტყვის ჩასაქრობად, და მით საზოგადოებრივ მიმდინარეობათა შესაჩერებლად, მაგრამ ამაოდ ჩაუარა ამგვარმა ცდამ. პრესსის შევიწროებით მთავრობამ ვერ შესძლო ცხოვრების მსვლელობის შეჩერება და მისის ჩარხის უკან შემოტრიალება. გერმანიის ბიუროკრატიამ, როგორც ჰმოწმობენ ისტორიკოსნი ტრეიჩკე და ციგლერი, სასტიკი ზომები მიიღო პრესსის წინააღმდეგ, მაგრამ ამით ვერ შეაჩერა ის, რაცა ჰხდებოდა ცხოვრებაში და რაიცა უეჭველად უნდა მომხდარიყო. ბრძოლიდან დამარცხებული გამოვიდა გერმანიის მთავრობა. ესევე მოჰხდა ინგლისსა, საფრანგეთსა და ავსტრიაში. ამასვე ამტკიცებს თანამედროვე ჩვენი ცხოვრება.

მაშასადამე, ტყუილი და უსაფუძვლოა ზოგიერთ თავადთა ღაღადი იმის შესახებ, ვითომც გლეხთა მოძრაობა ჩვენში გამოწვეულ-გამწვავებულიყოს პრესის მიერ და პრესსისავე შევიწროებით შეიძლებოდეს მისი ჩაქრობა. გლეხთა მოძრაობა გამოწვეულია ღრმა მიზეზთაგან და მისი შეჩერება-ამოფხვრა შეუძლებელია თავისუფალ აზრის და სიტყვის მოსპობით. პირიქით, ჩვენმა პრესსამ თავისუფლად უნდა ახსნას შინაარსი ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენისა, გამონახოს მისი ნამდვილი მიზეზნი, ახსნილ-განმარტებული მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას და ამგვარად გაუადვილოს ხალხს ამ სოციალურ მოვლენის შეგნება და ნამდვილ საშუალებათა მოპოება ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

ე. მირიანაშვილი

სოფლად

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“-ი № 74.

13 მარტიდან დაწყებული მოძრაობა გორის მაზრის გლეხთა შორის უფრო და უფრო მწვავდება. ოსები გორის მაზრის დასავლეთ და შუა ნაწილში მთებიდან ძირს ჩამოდიან, მრავლად დადიან მემამულეთ სამოსახლოებში და აძლიერებენ ადგილობრივ გლეხთა მიერ დაწყებულ უწესოებებს. რადგან ზოგიერთი ოსები აქ სადაც ჩერდებიან, არაყს ხდიან და იქვე სვამენ, ამიტომ ხალხში ხშირად ნასვამებიც არიან, რაიცა უფრო აღელვებს ხალხს.

სოფლის მოხელენი არ მოქმედებენ, რადგან ხალხმა ყველანი თანამდებობიდან გადააყენა. ბევრ კანცელარიაში საქმეები განადგურებულია. სოფლის ფოსტა ან სულ არ მოქმედებს, ან თუ მოქმედებს, ძალიან მძიმედ წერილები დამტარებელთ ხშირად გახსნილი ან დახეული მიაქვთ. ზოგიერთა მომრიგებელმა შუამავლებმა შესწყვიტეს მუშაობა.

დაბა ცხინვალში მახლობელ სოფლებიდან შეიკრიბა რამდენიმე ათასი გლეხი და მოითხოვა ადგილობრივ მომრიგებელ შუამავლის და სასოფლო ექიმის დათხოვნა. მემამულეებისაგან გლეხები თხოულობენ ბარათებს, რომ ისინი უთმობენ სახნავ ადგილებს და ნებას აძლევენ ისარგებლონ ტყით. მემამულეთა მოსამსახურეებსა და მუშებს ემუქრებიან, მუშაობაზე ხელს აღებინებენ, რის გამო ბევრგან მემამულის ადგილ-მამული უკაცოდ არის დარჩენილი, ხოლო ნახირი—უმწყემსოდ. მემამულეთა უმრავლესობა იძულებული გახდა სოფლებიდან წასულიყო.

მოძრაობა იმდენად გამწვავდა, რომ ვეიდენბაუმის მეთაურობით გაგზავნილ კომისიის მოგზაურობის უკანასკნელ დღეებში გლეხებმა წარადგინეს მოთხოვნანი პოლიტიკურის ხასიათისა. ბოლოს აღარც კი ეკრიბებოდნენ კომისიის მოწვევაზე.

14 მარტს გორში დიდ-ძალმა ხალხმა, წითელის დროშითა და კეტებით ხელში, უწესოებანი მოახდინა და დუქნებში ფანჯრები ჩალეწა. ერთ ქუჩაში ხალხი შემოერტყა ექვს სალდათისაგან შემდგარ რაზმს და მოინდომა თოფების წართმევა. თავ-დასაცველად რაზმმა სროლა დაიწყო. ათი კაცი დაჭრილი აღმოჩნდა, აქედან ერთი გარდაიცვალა. ხალხი მაშინვე გაიფანტა.

გორის მაზრაში დარღვეულ წეს-რიგის აღსადგენად, წინად გაგზავნილ ჯარს გარდა, გაიგზავნა კიდევ ყაზახთა ორი სოტნა და ქვეითა ჯარის ერთი როტა. ამასთან შემუშავებულ იქმნა ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც უწესოებებს ახდენს.

—

სოფ. კოშკა (ქართლი). ჩვენს სოფელშიაც თავი იჩინა აწინდელმა მოძრაობამ. თორმეტს მარტს სხვა-და-სხვა სოფლებიდან ხალხი მოგროვდა ს. კოშკაში და პირდაპირ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახლთან გაჩერდა. ხალხმა მოგლიჯა შემოვლებული მესერი, შეცვივდა ოთახში და იქ მყოფ ჩერქეზიშვილის დედას ხელი მოაწერინა ქაღალდზე, რომ არც ნადელია შენი და არც ხიზანი ოსებიო. მოხუცი მაშინვე დასთანხმდა, ოღონდ ნუ მაზარალებთ, მშვიდად იყავით და მზად ვარ ყველაფერზეო. ამის შემდეგ ერთმა მათგანმა ანუგეშა, ზარალი არ მოგეცემათო. მაგრამ როდესაც მანდილოსანი ქაღალდზე ხელს აწერდა, ამ დროს ზოგიერთები ზემო სართულში აცვივდნენ, ჩაამტვრიეს ფანჯრები, კარებები, აივანი. დააზიანეს აგრეთვე სახლის ავეჯეულობა: სტოლები, სკამები, ჭურჭელი. მერე მოჯამაგირე გარედ გააგდეს და უთხრეს, თუ ოცი თუმანი არ მოგცეს წელიწადში, არ ემსახუროო. გაუბრუნდნენ კოშკელებს და უბძანეს, არც დედაკაცი, არც კაცი აღარ მიეკაროთ, თითონ აცხონ პური, თითონ ზიდონ წყალი და ყველაფერი თითონ გააკეთონო. გააფუჭეს აგრეთვე ხილის ბაღის ღობე და ნამყენები. ბოლოს ხალხი ზემოდ გაემართა ყიჟინით. ასეთივე სცენები მოხდა

ფელეტონი

პატარა ამბები

რუსეთში პირვანდელ ქრისტიანობის დროიდან.—ახლანდელი სურათი.—მეგობრის წერილი.—სტუდენტებს და ქალებს.—ტფილისის ხმოსნების სიტყვები.—კავკასიელთა კრება.

მე მაგონდება სურათები ქრისტეს ცხოვრებიდან: დღევანდელი ჩვენი სოფელი ბევრითა ჰგავს პირვანდელ ქრისტიანობის დროს. სოფელი თითქოს ძველი რომის დაბეჩავებულ და დამონებული ნაწილია და „ერთობა“ ის დიდებული მოძღვრებაა, რომელსაც შეაქვს განახლება სოფელში, როგორიც შეიტანა რომის იმპერიის ცხოვრებაში ქრისტიანობამ.

მე ნათლად მიდგია თვალ-წინ გამოქვაბული კლდე, ბაგა და შიგ მწოლარე მხიარული, მოსიყვარულე და მოალერსე ბავშვი, რომელსაც მუხლ-მოდრეკილნი იმედ-მოცემულნი შესცქერიან ბეთლემის მწყემსები; მთა-გორიანი ადგილი, მოჭედილი ურიცხვ მშიერ და მწყურვალე ხალხით, რომლის შუაში დგას მასწავლებელი იესო და სიყვარულით აღსავსე ენით უქადაგებს ყველას ერთობას და ძმობას; გოლგოთა, რომლისაკენ მათრახით მიერეკებიან მეომრები და დარაჯები ბატონებისაგან სასიკვდილოდ განწირულს იესოს; ჯვარზე გაკრული მასწავლებელი, რომლის დატანჯული სახე ეთხოვებოდა მოძმეებს და უგზავნიდა კაცობრიობას სიყვარულისა და ძმობის სალამს. თვალ-წინ მიდგია მიწის ქვეშ გამოჭრილი აკლდამა: ბნელია, მკრთალი ნათელი ანათებს არე-მარეს, წყნარად შემოდიან ფეხშიშველი, მუშაობისაგან დაქანცული ადამიანები, თავმდაბლად აძლევენ ერთმანეთს სალამს, მერე დასხდებიან ირგვლივ, „ძმის“ გარშემო, რომელიც გათენებამდის უქადაგებს და ასწავლის მათ, რომ ადამიანები ყველანი ერთნი არიან და სიყვარული და თანასწორობა უნდა გაბატონდეს დედამიწაზე...

შუა ღამე მოახლოვებულია. სოფელს სძინავს, დიდი ხანია. ძლიერი ქარი ჰქრის, ცივა. ზევიდან მთვარე დასცქერის ქვეყანას და თქვენ წინ, როგორც ხელის გულზე, გადაშლილია მთელი სოფლის სიბეჩავე და სიღატაკე. ყველაფერი დამონებულია, სიცოცხლის ნასახს აღარსად ხედავთ, მხოლოდ ერთი ქარი არ დაუჩნებულა და თითქოს ცდილობს მიანგრ-მოანგრიოს გლეხების ქოხებ-საბძლები და გასწმინდოს ბუნება ადამიანის სიღარიბის ნაშთებისაგან.

უცებ ეკლესიის ზარს შემოჰკრა ვიღაცამ რამდენჯერმე და ცოტა ხნის შემდეგ მთელი სოფელი ახმაურდა. ყოველ მხრიდან გამოეშურენ ახლად წამომდგარი გლეხები; ბევრს არც კი ჩაუცვამს ხეირიანად, ეშინია არ დაიგვიანდეს და არ ჩამოვრჩე „ერთობას“ო. აჩქარებულნი მიდიოდნენ, ყველას სახე გაბრწყინებული ჰქონდა, წინ რაღაცას ეგებებოდნენ, ეგებებოდნენ იმ სიტყვას, რომლის მსგავსი არასოდეს არ გაუგონიათ, რომელიც ასე ღრმად წვდებოდა მათ გულს. ერთი მეორეს რომ შეხვდებოდა, ამაყად და სიხარულით ეუბნებოდა: „გაუმარჯოს ერთობას“, და ამ ერთობაში ჰპოვებდა შეურყეველს ძალას და თავის განახლებას და გაადამიანებას. მათი გაშლილი გული მოურიდებლად ეგებებოდა წინ ცივს და მრისხანე ქარს. რა იყო მათთვის ან სიცივე, ან ქარი, როდესაც მათ გულში ისეთი ძლიერი ცეცხლი იყო ანთებული, როდესაც დაინახეს, გაიგონეს, რომ შესაძლებელია ბოლო მოეღოს მათ პირუტყვულს, მონურს, ტანჯულს-წამებულს ცხოვრებას! მიდიოდნენ წინად ქორწილში, ლხინში, დღეობაზე, ეკლესიაზე დღესასწაულის დროს, მაგრამ არასოდეს არ უგრძვნიათ იმის მსგავსი, რასაც გრძნობდნენ ახლა. გონება გაუნათლდათ, მეტს ხედავდნენ, ვიდრე წინად, ხედავდნენ უხილავს, ესმოდათ, რაც წინად გაუგებარი იყო მათთვის. თავის უფლების და ადამიანობის შეგნებამ ერთიან შესცვალა მათი არსება. უენოს ენა მიეცა დღეს და მჭევრმეტყველი შეიქნა ის, ვინც ორ სიტყვას ვერ იტყოდა წინად.

გლეხები შეიკრიბნენ ერთს დიდს დარბაზში. ზოგნი ჩამოჯდნენ, ზოგნი ფეხზე იდგნენ. ვინც კი შემოდიოდა, „ერთობას“ ულოცავდა ყველას. სულგანაბულნი იყვნენ, ხმას არავინ იღებდა და მოუთმენლად ელოდნენ ქადაგების დაწყებას. ქადამნიან, წვერ-თმა დაუვარცხნელ, ფარაჯიან გლეხებს იმდენი სიმხნევე, იმედი და სასოება ეხატებოდათ სახეზე, რომ უნებურად სიცოცხლეს აღუძრავდნენ მკვდარს და უიმედოს. ეს ამდენხანს წელში მოხრილი მონები, რომლებიც სიტყვას ვერ შემოგიბრუნებდნენ, ახლა თამამად შეხედავდნენ თვალებში უძლიერეს ბატონსაც. გრძნობდნენ, რომ სიმართლე მათ მხარეზე იყო, და ეს იყო მათი უძლეველი ძალა. ერთი მეორეს ამხანაგურად უთმობდა ადგილს, ძმურად ეპყრობოდნენ ერთმანეთს და თანხმობით და ერთობით იყვნენ გამსჭვალულნი.

ჯერ კიდევ ყველანი არ შეკრებილიყვნენ და ბიჭი გაგზავნეს ხელმეორედ ზარის დასარეკად. ზარის ხმა რომ გაისმა, ყველანი შეიძრნენ: ეს ჩვეულებრივი ზარის ხმა არ იყო, ეს იყო სულ სხვა, დიდებული, ახალი ხმა, რომელიც არ მოუწოდებდა მათ ეკლესიაში სალოცავად, არამედ იწვევდა სულ სხვა ადამიანურ ცხოვრებისათვის, იწვევდა თავისუფლება თანასწორობისა და ერთობისათვის. ეს ხალხის ხმა იყო, ხმა წარსულ ტანჯვათა და ახალის იმედების. ეს იყო შეერთებული ხმა ყველა მშრომელ ხალხისა. ზარის ხმა რომ გაიგონეს, ერთმა სიხარულით წარმოსთქვა: „აღდგომას ეგონება კაცსაო“. მეორემ უპასუხა: „და რატომაც არ არის აღდგომა? განა ამაზე უკეთესი აღდგომა გვექნება ჩვენ? ახლა ვიღვიძებთ, ახლა ვიწყებთ ცხოვრებას და სწორედ ახლა არის ნამდვილი ჩვენი აღდგომა!“

დარბაზი გაივსო გლეხებით, წინ წამოდგა ერთი ახალგაზდა და გარს შემოეხვიენ ყველანი. ახალგაზდამ დაიწყო ლაპარაკი: „ამხანაგებო, მრავალ საუკუნის განმავლობაში, დასაბამიდამ ტანჯულო და წამებულო ამხანაგებო! დრო არის გონს მოვიდეთ და შევიგნოთ, თუ რა ვართ ჩვენ და რა არიან სხვები, ვინ არის ჩვენი მტერი და ჩვენი მოყვარე! მონები ვიყავით, დღე და ღამ ვმუშაობდით, წელზე ფეხს ვიდგამდით, მწარე ოფლით ვრწყავდით მიწას, ჩვენის სისხლით ვანაყოფიერებდით მიწას, ჩვენის ძვლებით ვხნავდით და ვფარცხავდით, ჩვენს სიცოცხლეს ვთესავდით მიწაში, მოგვყავდა პური და....

* *

„გურიის ამბებმა და საზოგადოთ ჩვენმა სოფელმა,—მწერს რუსეთში მყოფი მეგობარი:—აქაურ ქართველობაში დიდი განცვიფრება მოახდინა, მთელი რევოლიუცია რწმენის და მიმართულების მხრივ. ყველანი გავიძახოდით, ქართველებისთანა გათახსირებული, დაცემული ერი დედამიწაზე მეორე არ მოიპოვება; ჩვენი აღორძინება საეჭვოა და ყოველ შემთხვევაში შორებული მომავლის საქმეა; ვხედავდით სხვის ცხოვრებას და გული გვიკვდებოდა, რომ ყველგან ბრძოლა და მოძრაობა იყო, ჩვენში-კი მყუდროება, მოთმინება და მადლობის გამოცხადება. მაგრამ ახლა-კი, ახლა სულ სხვას ვხედავთ, მთელი ამერიკა აღმოჩნდა ჩვენთვის. მოვსტყუვდით, საბედნიეროდ. ჩვენ არ ვიხედებოდით ჩვენი ერის გულის სიღრმეში, ჩვენ არ ვხედავდით ერის ნამდვილ ძალას, არ ვიცნობდით ხალხის სულიერ ძლიერებას, მის გასაოცარ გამჭრიახს, მახვილ გონების ძალას, შესანიშნავ ნიჭს... კიდევ სიზმარი გვგონია ყველაფერი. ნუ თუ მართალია? ეს ისეთი დიდი, აუწერელი ბედნიერებაა, რომ არ შეგვიძლია დავიჯეროთ მთლად, ვიდრე საკუთარის თვალით არ ვნახავთ, საკუთარის ყურით არ გავიგონებთ ჩვენებურ ხალხისაგან იმას, რასაც გაზეთებში ვკითხულობთ. ნამეტურ გვაკვირვებენ გურულები. განა ყველაფერი ეს შესაძლებელია? განა ჩვენს გურულებს ასეთი გარკვეული, რომაული დიადი წარმოდგენა აქვთ ადამიანის უფლებასა და პიროვნებაზე? განა ასე დალაგებით მსჯელობენ თავიანთ გაჭირვებაზე და იმ აუცილებელ საშუალების შესახებ, რომლითაც უნდა მოისპოს ეს გაჭირვება?.. გვეშინია, ლაპარაკი

ს. კულბითში. შეკრებილ ხალხში იყვნენ ქართველებიც და ოსებიც. **აქაური**

—

შიგნით კახეთი. 13 მარტს თელავის მაზრის გამოღმა მცხოვრებნი, სოფელზე რამდენიმე კაცი, მიწვეულნი იყვნენ წინანდალში, სადაც მომრიგებელი შუამავალი და მაზრის უფროსი გამოელაპარაკნენ გლეხთ მათ გაჭირვებაზე. ბოლოს უბრძანეს, რომ თვითოეულ სოფელში აერჩიათ კაცი, რომელმაც ქაღალდით უნდა აცნობოს მთავრობას სოფლის გაჭირვებანი. გლეხები შეუდგნენ მოხსენების შედგენას.

—

დუშეთის მაზრაში გაგზავნილი ჯარი, როგორც გვატყობინებენ, 11 მარტიდან შემდეგ სოფლებში დაბინავებულა: ძალისში (120 კაცი), ახალ გორში (105 კაცი), მუხრანში (120 კაცი) და მჭადის ჯვარში (120 კაცი).

—

ხოვლე (ქართლი). ჩვენი სოფლის გლეხობა უკვე შეთანხმდა მემამულეებთან. პირობები ზედ-მიწევნით შემდეგია: 1. ტყე, რაც შინ დასჭირდებათ, შეუძლიანთ გლეხებს წაიღონ უსასყიდლოდ; გასასყიდად ტყის წაღების ნება არა აქვთ. 2. საშენებელი ქვა უფასოდ შეუძლიანთ წაიღონ. 3. საძოვარიც აგრეთვე უფასოა. 4. ღალა უნდა გამოერთვათ ისე, როგორც გადაწყდება დანარჩენ ქვემო ქართლელ გლეხებისთვის; უკეთუ ამ გადაწყვეტილებამ ვერ უსწრო მოსავლის აღებამდის, იმ შემთხვევაში მემამულემ უნდა აიღოს ღალა სარწყავიდან მესამედის მაგიერ მეოთხედი და ურწყავიდან მეოთხედის მაგიერ მეხუთედი. 5. რაც შეეხება ჩამონაჭერ მიწებს, ვენახებს, ან განაყოფ ნადელების უკან დაბრუნებას და თავისუფალ მიწების ურთიერთ შორის თანაბრივ მორიგებას, ეს საქმე უნდა შესდგეს დრომდის, რადგან ბევრს ხოვლელ გლეხს შეიძლება ერთმანეთშივე უსიამოვნება მოუვიდეთ; როცა ყველა ქართველ გლეხის მდგომარეობა გადაწყდება, ხოვლელი თავად-აზნაური და გლეხობა იმ გადაწყვეტილებას დაემორჩილება. 6. წყალი „ხეხმელა“ უნდა განაწილდეს მამულზე. აქნობამდის ეს წყალი ჯავახიანთ საკუთრებას შეადგენდა და შეეძლოთ ეყიდნათ კიდეც.

ეს არის ჯერ ხანობითი შეთანხმება თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შეთანხმება მოხდა მშვიდობიანად და „უსკანდალოთ“. ⁂

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 19 მარტს, **თავად-აზნაურთა დეპუტაცია** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ მალამასთან იყო. თათბირი ჰქონდათ ქართლში გლეხთა მოძრაობის დაწყნარების შესახებ.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეადგინა მოხსენება იმ საშუალებათა შესახებ, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელია **სასოფლო-მეურნეობის განვითარება** და მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესება. საბჭომ საზოგადოების კრება ამ მოხსენების განსახილველად დანიშნა 22 მარტის, საღამოს 8 საათისათვის.

◆ როგორც ნამდვილად გავიგეთ, მარტის ბოლო რიცხვებში დონის ოლქიდან **ტფილისში ჩამოვა ყაზახრუსთა ოთხი პოლკი.**

◆ როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, 16 მარტს რკინის გზის რემონტის მუშებმა ყარაიაზიდან სადახლომდე **მუშაობას თავი მიანებეს.** ამ მუშებმა ლიანდაგზე ჩაიარეს და საქმეზე ხელი აალებინეს ლიანდაგისა და გადასავალ-გადმოსავალების დარაჯებს, გზის ოსტატებს და უფროსს მუშებს. ყველა ესენი ნავთლუღში შეიკრიბნენ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის რემონტის უფროსმა მეორედ მისწერა ლიანდაგის ინჟინრებს, აუხსნან **რკინის გზის მუშებს**, რა ძნელი სასჯელი მოელით, თუ ისინი დარღვევენ და არ აასრულებენ ომიანობის დროის წესებს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გუშინ, 19 მარტს, ლიანდაგის უფროსთა საყურადღებოდ შემდეგი განკარგულება მოახდინა: ვიდრე განხილულ იქნება საკითხი **სამუშაო დროს შესახებ** და გამოიცემა სამუშაო წიგნაკები, სამუშაო დღე ზაფხულობით მუშათათვის იქნება 10 საათი. ამ დროში არ ითვლება ერთი საათი საუზმისა და ორი საათი სადილისათვის. ზამთრობით სამუშაო დრო 9 საათი იქნება. ამაში არ შევა სადილისათვის ერთი საათი. უქმე დღეებში ქირა $1^{1}/_{2}$-ჯერ მეტი იქნება. დღიურ მუშებს რკინის გზის 1, 2, 3, 4 და 5 ნაწილში (ბათუმისაკენ) 15 მარტიდან მიეცემათ ქირად 80 კაპ. მე-14 და 15 ნაწილში (ყარსის გზის შტო)—70 კაპ. მე-8, 9, 10, 11. 12 და 13 ნაწილებში (ბაქოსა და ერევანში)—75 კაპ., ხოლო მე-6 და 7 ნაწილებში (ტფილისის გუბერნია)—85 კაპ.

◆ დღეს, 11 საათზე, „ტიფ. ლისტ.“ რედაქციაში მოხდება ადგილობრივ **ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა** მოლაპარაკება იმ დეპეშის გამო, რომელიც კობეკოს კომისიისაგან იქნა მიღებული. როგორც ვიცით, ადგილობრივ გაზეთები თხოულობდნენ, ნება მიეცეთ იმათ წარმომადგენელთ მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში. ეხლა კომისიის მდივნისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა; „თუ გადასწყდება, რომ დაბარებულ იქმნენ წარმომადგენელნი, თავის დროზე თქვენც გაცნობებთ.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ამ დღეებში მიიღო **საზღვარგარეთიდან ორი ვაგონი შაბიამანი**, ვენახის სასხლავი მაგრატლები და სხვა ნივთები. საზოგადოება გოგირდსაც ამ დღეებში მოელის საზღვარ-გარეთიდან.

◆ **დედათა საეპარქიო სასწავლებელში** ეს მეხუთე დღეა სწავლა არა სწარმოებს.

◆ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში ეგზამენები იწყება** 5 აპრილს. მეექვსე კლასში ამ ჟამად 13 მოწაფეა, მთელ სემინარიაში კი 45 მოწაფე. ქართველი არ არის.

◆ **ქალ. სიღნაღი.** 14 მარტს მარინეს სასწავლებლის მოსწავლე ქალებმა შესწყვიტეს სწავლა და წარადგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი. აი, ზოგიერთი მუხლი: მიეცეთ უფლება კურს დამთავრებულთ შევიდნენ უეგზამენოთ საშუალო სასწავლებლის მეხუთე კლასში; სწავლა სწარმოებდეს დედაენაზე, რუსული-კი იყოს, როგორც საგანი; ღარიბ მოსწავლე ქალთა სწავლა უნდა იყოს სახელმწიფო ხარჯზე; უნდა მიეცეთ აგრეთვე უფასოდ სასწავლო ნივთები; გაფართოვებულ იქმნას პროგრამა ბიბლიოთეკისა და გამოწერილ იქმნას ჟურნალ-გაზეთები ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. შემოღებულ იქმნას ერთ-ერთი ახალი ენა; მოსწავლე ქალები გადაყვანილ იქმნან კლასიდან კლასში უეგზამენოდ და იმათ, რომელნიც წელს დაამთავრებენ, მიეცეთ ატესტატები; ადამიანურად მოეპყრან მოსწავლეებს როგორც კლასში, ისე კლას გარედაც.

სასწავლებლის მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიბარა მშობლები. 16 მარტს მშობლებმა ერთ ხმათ გამოუცხადეს, დახურულ იქმნას სასწავლებელი იმ დრომდე, ვიდრე არ დააკმაყოფილებთ ჩვენ შვილების მოთხოვნილებებსაო.

◆ როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, **ერევანში კერძო თათბირი ჰქონიათ** ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეების დედ-მამებს. კრებას დაუდგენია: შეუერთდეს მოსწავლეთა მოთხოვნილებებს და ეცადოს ამ მოთხოვნილებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

◆ როგორც „ინვალ.“-შია გამოცხადებული, **მუკდენის ბრძოლის დროს** დაჭრილან პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე როსტომის ძე ჯაფარიძე და პორუჩიკი გიორგი ზაალის ძე ჩიკოიძე.

◆ საქართველოს საექსარხოსოს მთავრობას განუზრახავს **დააარსოს წიგნთ-საცავები სამრევლო-საეკლესიო სკოლებთან**, ხოლო სადაც არსებობს,—გააფართოვოს.

◆ **ხონიდან სამტრედიამდე** განუზრახავთ გამართონ ორთქლით მავალი ტრამვაი. ამისთვის უკვე შემდგარა ამხანაგობა.

◆ ჟუნის ზედამხედველს თავ. მიქელაძეს, რომელიც ბაქოში მოჰკლეს, მოკვლამდე რამდენიმე წერილი მისვლია თურმე, მოკვლას გიპირებენო. როგორც ცოლს უთქვამს, მიქელაძეს სამი-ოთხი დღის წინ მოკვლამდე თხოვნა შეუტანია სამსახურიდან გადადგომის შესახებ. თავ. მიქელაძეს დარჩენია ცოლი და შვიდი შვილი. უფროსი შვილი 17 წლისაა.

◆ **ბათუმი.** 17 მარტს, საღამოს 8 საათზე, შინა ბრუნდებოდა ხურო პარმენ დათეშიძე. გზაზე ვიღაც უცნობმა კაცებმა მოჰკლეს დათეშიძე.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს, რომ ტრამვაის ვაგონები ნელა დადიოდნენ, განსაკუთრებით მოსახვევ ქუჩებში, რადგან შესაძლებელია უბედურებაო. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს საამშენებლო განყოფილებას აცნობოს უსახელო საზოგადოებას, რომ ვაგონების მოძრაობა ხელშეკრულობის თანახმად სწარმოებდეს. ეხლა ვაგონები ნელა დადიან, ხოლო ამის შემდეგ უფრო ჩქარა ივლიან, რადგან ხელშეკრულებით ვაგონებმა საათში 15 ვერსტი უნდა გაიარონ.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ არდაგანის ოლქის რამდენიმე მცხოვრები, საკლავ საქონლის პატრონნი, ტფილისის ქალაქის გამგეობას ედავებიან 7000 მან. საკლავი საქონელი შეიძინა ხორცის დუქნების უფროსმა გამგემ ალიხანოვმა. ადგილობრივ საქმის გამოძიებამ და არდაგანში მოწმეთა კითხვამ, რომელსაც დაესწრო განსაკუთრებით ამისთვის გაგზავნილი ქალაქის წარმომადგენელი ქანანოვი, გამოარკვია შემდეგი: საკლავის შესაძენად აღნიშნულ მომჩივანთან მისულა ტფილისიდან ვიღაც მიკაჩა, რომელსაც თავისი თავი ქალაქ ტფილისის წარმომადგენლად გამოუცხადებია და გაჰრიგებია 368 სულ საკლავს 13,750 მანეთად. მიკაჩას ბეჯ 400 მან. მიუცია და უთქვამს, საქონელი ტფილისში ჩამორეკეთო. აქ ტფილისში მომჩივანთ შეჰხვედრიათ დუქნების გამგე ალიხანოვი, რომელსაც საქონელი ჩაუბარებია და ბაკში გაუგზავნია. საქონლის მომრეკისთვის 8 მან. უჩუქებია, ხოლო პატრონთათვის 2000 მან. მიუცია. საკლავ საქონლის პატრონნი ამბობენ ეხლა, რომ ჩვენ 13,750 მანეთიდან მხოლოდ 6750 მანეთი მივიღეთო. ალიხანოვს ნაყიდ საქონლიდან 18 სული დაუკლავს. შემდეგ დუქნების გამგე კომისიას ნაყიდი საკლავები დაუწუნებია. როგორც ხმა დადის, დაწუნებული საქონელი გაუყიდნიათ წვრილ-წვრილად. ყველაფერს სასამართლო გამოარკვევს, სადაც ეს საქმე მალე გაირჩევა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 19 მარტი. მუშაობა როდშილდის ქარხანაში, როგორც ამბობენ, მალე მოისპობა. მოლაპარაკებაა ყუთებისათვის დამზადებულ ხე-ტყისა და ჟესტის გასასყიდად.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ უფროს სასწავლებლებს გარდა ამ ჟამად დაკეტილია ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელიც, რომელსაც აქ „პეტრიაშვილის კლასს“ ეძახიან. იქ მოსიარულე ბალღები 10—11 წლისაზე უფროსნი არ არიან. მაგრამ ამათაც თავისებური პროტესტი განაცხადეს და ეხლა სასწავლებლის შუშები ირგვლივ ჩალეწილია თითქმის.

◆ ამ დღეებში გენ.-გუბერნატორმა თავადმა ორბელიანმა მოიარა ჭიათურა. მცხოვრებლებმა უსახსრობის გამო უარი განაცხადეს შეწერილს გადასახადზე. ჭიათურის შემდეგ გენ.-გუბერნატორი ქვემო იმერეთისაკენ გაემგზავრება.

◆ როგორც დეპეშით გაცნობეთ, 16 მარტს დაიწყო სამღვდელოების კრება. თავმჯდომარედ ბევრისაგან უარის თქმის შემდეგ აირჩიეს შორაპნის ბლაღოჩინი ს. მჭედლიძე. ძალიან ცხარე კამათებია. უმეტეს გამწვავებული კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რაა მიზეზი ახლანდელ დამოკიდებულობისა მრევლსა და სამღვდელოებას შორის.

◆ ქუთაისის სადგურის უფროსის თანაშემწე ჟიდკოვი გადააყენეს სამსახურიდან და სამართალში მისცეს, რადგან წინა დღეს გამოაცხადა, რომ ორასი თუმანი დავკარგეო, ხოლო მეორე დღეს—ექვსასი თუმანიო.

◆ დეპეშით უკვე გაცნობეთ, რომ 18 მარტს, დილის 10 საათზე, თავს დაესხნენ ეტლით მიმავალ სადგურის უფროსს. სადგურის უფროსს მერკულოვს ახლდნენ შეიარაღებული ყარაული და პოლიციელი. თავს დაეცა ამათ ოთხი შეიარაღებული კაცი და წაიღო 6644 მანეთი და რევოლვერი, ამასთან სცემეს ყარაულს დოდონაძეს. ნაშუადღევის სამ საათზე ყაზახებმა ჟანდარმებისა და საერობო დარაჯების დახმარებით დაიჭირეს თავდამსხმელნი და ფულიანად სადგურში მიიყვანეს. ფულს აკლდა 540 მანეთი. საღამოს 9 საათზე ყაზახებმა იპოვნეს მიწაში ჩაფლული 320 მანეთი.

ღამის დეპეშები

„**პეტერბურგის დეპეშთა სააგენტოსაგან**“

19 მარტი

მოცზიადანი, 13 მარტი, გენ. ლინევიჩმა დაათვალიერა ჯარები, რომელნიც ყოჩაღად არიან. ეხლანდელი ჩვენი პოზიციები საკმაოდ არიან გამაგრებული. სურსათი დაუბრკოლებლად მოაქვთ.

პარიზი. ტოკიოდან ატყობინებენ „პტი პარიზიენ“-ს, იაპონია მზადაა, აპრილში ახლად დაარსებული დივიზია გადაიყვანოს სახალინზე. მეხუთე კორპუსს მიანდეს, გარს შემოუაროს ლინევიჩის არმიას. როგორც „პტი მარსელიე“ იუწყება, ინგლისის მეფე-დედოფალი კოპენჰაგენიდან გერმანიაში წავლენ და იქიდან საფრანგეთში. ინგლისი ემზადება, ჩინებულათ დაუხვდეს საფრანგეთის ფლოტს, რომელიც პიტხედში მივა.

ტანჟერი, 18 მარტი. იმპერატორმა ვილჰელმა სიტყვა სთქვა გერმანიის ახალშენის წარმომადგენლების წინაშე, ნაპირზე გადასვლისას: ამ სიტყვაში იმპერატორმა ის აზრი გამოთქვა, რომ მისი დირბაზობა ხელს შეუწყობს გერმანიის ვაჭრობას და მაროკოს ინტერესებს, რომლის მთავარი უფლებები და ხელ-უხლებლობა [illegible] იქნებიან მთლიანათ. დიპლომატიურ [illegible] მიღების შემდეგ ვილჰელმმა განაცხადა, დამაგვიანდა, მეტი დარჩენა აღარ შემიძლიან და გზას უნდა გავუდგეო. ამან გულები გაუტეხა ყველას, განსაკუთრებით იქაურ მკვიდრთ.

პარიზი, 18 მარტი. ჰავასის სააგენტო არღვევს ინგლისის გაზეთების ცნობებს, ვითომც დელკასეს კერძოდ, მის საკუთარ სადგომში, ეთათბირნოს იაპონიის ელჩთან. აქაური გაზეთები ყურადღებას აქცევენ იმ ხმებს, ვითომ რუზველტს ეკისროს ზავის შესახებ შუამდგომლობა. დასძენენ აგრეთვე ხსენებული გაზეთები, ვითომც რუსეთს ერჩივნოს კონტრიბუციის მაგიერ სახალინის სამხრეთ ნაწილის დათმობა იაპონიისათვის.

ტანჟერი, 18 მარტი (ჰავასი). ნაშუადღევის ორ საათზე აბდელ მალეკი გამოეთხოვა იმპერატორს.

პეტერბურგი, 19 მარტი. გაზეთების სიტყვით, დანიშნეს გამომძიებელი კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ის მიზეზები და მდგომარეობანი, რომელთაც მოჰყვა პორტ-არტურის მტრისათვის გადაცემა; კომისიის თავმჯდომარედ იქმნება სახელმწიფო საბჭოს წევრი როოპი.

ტანჟერი, 19 მარტი. (რეიტერი). ნაშუადღევის ორ საათზე აბდელ მალეკი გამოემშვიდობა იმპერატორს. ამბობენ, იმპერატორმა იმიტომ დაიგვიანა ნაპირზე გადმოსვლა, რომ საფრანგეთის საელჩომ შეატყობინა გერმანიის საელჩოს, ანარხისტთა შეთქმულობაა იმპერატორის წინააღმდეგ და გააფრთხილეთ და ურჩიეთ ნაპირზე ნუ გადმოვაო. კამენბახმა უპასუხა, საშიში არაფერიაო. ამბობენ აგრეთვე, იმპერატორი მხოლოდ გერმანიის საელჩოში იყო, რათა აჰშორებოდა ფრანგთა საწინააღმდეგო დემონსტრაციას. ამიტომ მცირე ხანი დაჰყო იმპერატორმა ტანჟერში. იმპერატორი რომ არ მივიდა კაზბახს მისთვის მომზადებულ აპარტამენტში, ამან გული გაუტეხა მცხოვრებთ.

ლონდონი, 19 მარტი, (რეიტერი). საფინანსო წელიწადი 18 მარტს დასრულდა; შემოსავლიდან გადანარჩენი არის 1,864,839 გირვ. სტერლინგი.

ბელგრადი, 18 მარტი. სესხის შესახებ აღძრული საკითხი გვაფიქრებინებს, რომ მთავრობას საერო კრების მხრივ წინააღმდეგობა შეხვდება, მაგრამ მაინც ჰგონიათ, რომ სესხისა და გერმანიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობის საქმეში მთავრობა მეტ ხმას მიიღებს.

სტამბოლი, 18 მარტი. რიზა-ფაშამ გაილაშქრა სანოასკენ, რომელიც უმთავრესი ადგილია დასახლების მიხედვით იემენში. ინგლისელებმა დაიჭირეს ელკატარი, ვილაიეტ ბასსორის მთავარი ქალაქი. პორტას განზრახვა აქვს პროტესტი განაცხადოს.

მოსკოვი. აქ გამუდმებული ბჭობა აქვთ სხვა-და-სხვა გუბერნიების წარმომადგენლებს მომავალ რეფორმების შესახებ.

მინსკი. სინოდის ბრძანებით დაიხურა სემინარია. მოსწავლეები დაითხოვეს.

პსკოვი. მომრიგებელი მოსამართლე შეუდგა საქმის გარჩევას ქალაქის ქუჩებში 7 თებერვალს მომხდარ არეულობის დროს მოსწავლების ცემა-ტყეპის შესახებ.

ვიატკა, 13 თებერვალი. საგუბერნიო კრებაზე დაადგინეს, სთხოვონ შინაგან საქმეთა მინისტრს ჩქარა გაიხსნას უმაღლესად დაწესებული საბჭო, მიიწვიონ საბჭოში ვიატკის გუბერნიის კრების წარმომადგენლნი მონაწილეობის მისაღებათ, იმუშაოს საბჭომ ხალხის თანადასწრებით და ნება მიეცეს პრესსას თავისუფალი სჯა-ბაასი იქონიოს საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ.

გავაგრძელოთ ამის შესახებ. გვჯერა, მაგრამ რაღაც შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ასე ბედნიერები ვართ, ამდენი ძალა, იმედი და ენერგია აღმოჩნდა ჩვენში. განა შეიძლება, არ გამოვცოცხლდეთ ახლა ყველანი, თავგამოდებით არ შევუდგეთ საქმეს, არ მივიდეთ ხალხთან და მასთან ერთად არ ვიმუშაოთ მომავლისათვის? შორს ახლა ჩვენგან გაუბედაობა და ყოყმანი!..

„მე სადღაც ჰაერში დავფრინავარ სიხარულით და არ შემიძლია ისე სიტყვა მოვაბრუნო, რომ სამშობლოს სახელით სალამი და კურთხევა არ გამოუგზავნო გამოღვიძებულს ხალხს და მის მეგობრებს! იქ, სადაც წინად ყურმოჭრილი მონები იყვნენ, ახლა მე ვხედავ cives romani (რომის მოქალაქეებს, მამულისშვილებს) და ჩემს სიამეს საზღვარი არა აქვს. რა იქნება ამის შემდეგ? განა საფიქრებელია, რომ ხალხი მოიპოვებს თავისას, მაგრამ ეგეც რომ არ იყოს, რა ღირს მარტო ერთი შეგნება თავის უფლებისა და ღირსებისა! ხალხი კიდეც რომ გაწყდეს, ჯობია გაწყდეს ასეთის შეგნებით, ვიდრე ცოცხლობდეს უამისოდ! მაგრამ ვინ დასძლევს ამგვარ ხალხს? სად არის მისი მძლეველი ძალა? არა, ათასჯერ არა! ახლა შეგვიძლია ვსთქვათ: მომავალი ჩვენია! სულ წასულით მოვესწრაფვი სამშობლო ქვეყნისაკენ, რომ ვეამბორო მშობელ ხალხს და მასთან ერთად ვიმუშაო მეც.. ეს არის ჩვენი ყველასი წმინდა მოვალეობა!..“

⁂

ამას წინად სხვა ქვეყნიდან ქართველმა სტუდენტებმა ამხანაგი გამოგზავნეს: დანამდვილებით გაიგე ჩვენი ქვეყნის ამბავი, კეთდება რამე, თუ არ კეთდება, საჭიროა კაცი, არის სამუშაო და ჩამოვიდეთ, თუ არაო.

განა ყოფილა როდისმე ჩვენს ქვეყანაში იმდენი საქმე, რამდენიც დღეს არის? საკმაო მუშა არ არის მხოლოდ და ამ გარემოებას მართლა უნდა მიაქციონ ყურადღება ჩვენმა სტუდენტებმა. რუსეთის და უცხოეთის უნივერსიტეტებში დღეს 400-ზე მეტი ქართველი ახალგაზდა იქნება. ამის ნახევარიც რომ შეუდგეს ხალხში მუშაობას, დაუფასებელ სარგებლობას მოუტანდა. სწორედ მიუტევებელი დანაშაულობაა, რომ დღეს ადამიანს რისიმე გაკეთება შეეძლოს და უსაქმოდ და უმოქმედოდ იყოს. განსაკუთრებით დრო არ არის ახლა უბრალოდ ლაყბობისა. ვინც-კი რა იცის, წაიმძღვაროს წინ ახლანდელი საზოგადოებრივი იდეალი, და შეუდგეს საქმეს, საქმეს, საქმეს!

ნუ დაივიწყებენ ამას ქართველი ქალებიც. მათ უსაყვედურეს ჩვენს საზოგადოებას, რომ სრულ ადამიანად არ გვცნობთ ჩვენაო. ასეთი საყვედური სამართლიანია, მაგრამ საქმეს ამ საყვედურით არა ეშველება-რა. ქალებს შეუძლიათ მოიპოვონ უფლება მხოლოდ შრომით და ბრძოლით. შეერთებულის ძალით გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე, იმუშაონ ენერგიულად, როდესაც დღეს ამდენი სამუშაოა, თავისი ძალა და გონება შესწირონ სახალხო საქმეს. ამით დაუვიწყარს სახელს მოიპოვებენ და დაიჭერენ იმ ადგილს, რომელიც დღეს აკრძალული აქვთ. დღევანდელ საზოგადოებიდან-კი ნუ გამოელიან ქალები უფლების მოპოვებას. სამართალს და უფლებას მიანიჭებს მათ ხალხი, ამ ხალხს ემსახურონ და ხალხი დააფასებს მათ ღვაწლს. უთანასწორობასა და უსამართლობაზე აგებული საზოგადოება არ მიანიჭებს ქალებს თანასწორობას. თანასწორობას მისცემს მათ ის „ერთობა“, რომელმაც ასე გაიტაცა დღეს ხალხი.

იწყება ახალი ცხოვრება, თავისუფალი და სამართლიანი! იქ იქნება თანასწორობა ადამიანთა და ერთა შორის, იქნება თანასწორობა მამაკაცთა და ქალთა შორის. მხოლოდ რომ ღირსეულად მიიღონ ეს თანასწორობა ქალებმა, უნდა იბრძოლონ და იშრომონ თანასწორობისათვის, იშრომონ საერთო განახლებისათვის, იშრომონ ხალხის აღდგომისათვის. საითაც უნდა გაიხედონ, სოფლად და ქალაქად (უფრო სოფლად!) მრავალი საქმეა გასაკეთებელი, ხალხის შვილები მოუწოდებენ მათ: „ამოგვიდექით გვერდში, გვასწავლეთ, დაგვეხმარეთ! ვინც ჩვენი ხართ, ჩვენთან უნდა იყოთ დღეს, როდესაც დადგა ჩვენი ბედის გადასწყვეტი დრო!“ ამ ხმას უნდა მიაპყრონ ქალებმა მთელი თავისი ყურადღება, აქ არის მათი საქმე, აქ არის მათი ხსნაც! ვიმეორებ, დღევანდელი აგრე წოდებული საზოგადოების მამაკაცები არაფერს მიანიჭებენ მათ, სახალხო საქმეში ეძიონ თავისუფლება, ხალხი მიანიჭებს იმ უფლებებს, რომელთა მოპოვება სურთ. ამიტომ უკუაგდონ სხვა ყველაფერი და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ხალხისთვის სამსახურს. პრაქტიკულს სამსახურს, შრომას და საქმეს, საქმეს! შეასრულონ ეს ისტორიული დანიშნულება და აუცილებლივ გაეღებათ ის კარები, რომლებიც ამდენხანს დახშული იყო მათთვის!..

⁂

რამდენჯერმე მქონდა აღნიშნული, რომ უკვე დაჰბერა ახალმა სიომ ტფილისის საბჭოს და რაც დღე გადის, უფრო და უფრო მეტს მოქალაქობრივ შეგნებას იჩენენ ჩვენი ხმოსნები. არ შემიძლია, სიამოვნებით არ მოვიყვანო ზოგიერთი სიტყვა, წარმოთქმული ერთს ამასწინანდელ სხდომაზე. ერთი ხმოსანი ამბობდა: „დაუყოვნებლივ უნდა მოვიწვიოთ კავკასიის ერების წარმომადგენელნი, რომ ყველამ ერთად მოვილაპარაკოთ საერთო საქმის შესახებ და მოკლედ და მარტივად გამოვსთქვათ ჩვენი მოთხოვნილებანი... აუცილებლივ საჭიროა დაუყოვნებლივ თავისუფლება სიტყვისა, მწერლობისა, კრებისა, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით არჩეული პარლამენტი. სანამ ხალხს არ მიეცემა, რასაც თხოულობს, მისი მოძრაობის შეჩერება შეუძლებელია. სულ ტყუილია რეაქციონური ღონისძიებანი... იმერეთი ფეხზე დგას, ქართლ-კახეთმა გამოიღვიძა, ქალაქები ამოძრავდნენ, რუსეთის სოფლებში ხალხი ძლიერ პროტესტს აცხადებს ეხლანდელი წეს-წყობილების წინააღმდეგ“...

თითქმის ამნაირის სიტყვებით ლაპარაკობენ ყველა ხმოსნები. ერთის ხმოსნის სიტყვით: „ხალხი ღელავს, მუშები გაფიცვას ახდენენ, ვაჭრობა-მრეწველობა შეფერხდა. ამ დროს მთავრობა როგორ ზომებს ხმარობს? გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ჩემი სამშობლოს კარების წინ დგას დილის ჯარითა და ზარბაზნებით. რა მოხდა, რაშია საქმე? არაფერი გარდა იმისა, რომ ხალხმა შეხუთულ მდგომარეობიდან გამოსვლა მოინდომა და არავინ არ ისმინა მისი კანონიერი მოთხოვნილებანი“...

⁂

დღეს საქმე იქამდის მივიდა, რომ უკან ან დღევანდელ მდგომარეობაში დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. ვერც ერთი გენიოსი (თუნდ ათასი გენიოსი) ვერ მოახერხებს, რომ დააძინოს და დაამუნჯოს გამოღვიძებული ხალხი.

დადგა შესანიშნავი ისტორიული ხანა და ამ ხანას შესაფერად უნდა მივეგებოთ კავკასიის ერები. საქმის გადადება და მოცდა მავნებელია. დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ ერთობას და კავშირს, არა სიტყვიერს მხოლოდ, არამედ პრაქტიკულს. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა ერთად შეკრება კავკასიის ერების ყველა წარმომადგენლებისა. შეიძლება ჯერ მცირე, მოსამზადებელი კრება იქმნეს მოწვეული და მერე უფრო დიდი, სრული. ამ კრებამ უნდა შეიმუშაოს ერთის მხრით ის ელემენტალური წესები, რომლებიც უთუოდ უნდა შევასრულოთ კავკასიის ერებმა ერთმანეთის შესახებ, განსაზღვრული უნდა იქმნეს ყოველი ერის უფლებანი თანასწორობის ნიადაგზე. მეორე მხრით აუცილებლივ უნდა წამოვაყენოთ ის უპირველესი მოთხოვნილებანი, რომლებიც საჭიროა მთელის კავკასიისათვის, ყველა კავკასიელებისათვის საერთოდ.

როგორც დანამდვილებით ვიცით, ამ საქმისათვის მოსალაპარაკებლად მზად არიან თათრები. ესენი სულითა და გულით მოწადინებულნი არიან, რომ ქართველებმა ვითავოთ შეთანხმება და შეერთება, ღრმად სწამთ, რომ ამ ერთობას ვერაფერს შემთხვევაში ვერ აუხვევენ გვერდს. ასე ფიქრობენ სომხებიც და მარჯვე დრო არის ერთობის აზრის განსახორციელებლად.

სიტყვა.

პეტერბურგი. უმაღლესი მადლობა გამოეცხადა სარატოვის გუბერნატორს სარატოვის გუბერნიის ბალაშოვის მაზრასა და ქალაქ სარატოვში არეულობის ჩაქრობის დროს შეგნებით, მტკიცე და ენერგიულ მოქმედებისთვის.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

19 მარტი.

ტოკიო, 14 მარტი. მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწემ გენერალმა ნაგაოკამ სთქვა აღმოსავლეთ საზოგადოებისადმი მოხსენებაში, მუკდენთან მომხდარი ბრძოლა, უდიდესი ბრძოლაა მსოფლიო ისტორიაშიო. ბრძოლა 14 დღე გაგრძელდა. ამ ბრძოლაში 859 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობის,—ლიაოიანთან კი 460 ათასი და შახეზე 580 ათასიო.

ლონდონი. აქ დიდს მნიშვნელობას აძლევენ იმ ფაქტს, რომ ლონდონში რუსების პარიზელ აგენტებს შეუკვეთიათ კიდევ რამდენიმე სანახშირე გემის დაქირავება, რომელნიც ბალტიის ესკადრის შესახვედრათ უნდა წავიდნენ. პირობა დასდეს, რომ სანახშირე გემები ბატავიას იქით აღმოსავლეთისაკენ აღარ წავლენ. ამავე დროს 6 სანახშირე გემს, რომენიც ვლადივასტოკისაკენ არიან გაგზავნილნი, ბრძანება მიეცემა მახლობელ ნავთსადგურში, საცა ისინი დადგებიან, რათა ისინიც შეუერთდნენ ბალტიის ესკადრას. ამ გემებში ორი უკვე კოლომბოსი და სინგაპურში მოვიდა. ამ ფაქტებს აქ ისე უცქერენ, რომ ჩქარა ზავი იქნება ჩამოგდებულიო.

ვაშინგტონი. ოფიციალურათ არღვევენ იმ ხმებს, ვითომც რუსეთსა და იაპონიას წინადადება მიეცეთ რუზველტისთვის, შუამდგომლობა იკისრეთო.

გიბრალტარი. გერმანიის გემი „ფრიდრიხ“-ი, ნავთ-სადგურში შესვლისას, დაეჯახა ბრიტანიის ჯავშნოსანს „პრინც გიორგი“-ს. ორივე გემი დაშავდა ცოტათი.

ბერლინი. იმ ხმების შესახებ, ვითომც იაპონიას, ეთხოვნოს რუზველტისათვის იშუამდგომლე ზავის ჩამოგდებაზე და ვითომც უკვე დაწყნარებულიყოს მოლაპარაკება, იაპონიის საელჩო აცხადებს, მე არავითარი ცნობა არა მაქვსო.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. „მარტის თარიღით: „არმიებში ცვლილება არ მომხდარა.

პეტერბურგი. ბაქოს გუბერნია საშიშოთ სცნეს ხოლერის მხრივ.

ბაქო, 18 მარტი. სატეხნიკო საზოგადოების საერთო კრებაზე დაადგინეს: ა) აირჩიონ დეპუტაცია სენატორ კუზმინსკისთვის წარსადგენათ იმ საკითხის შესახებ, თუ რა გზით უნდა აწარმოვონ ბაქოს ამბების გამოძიების საქმე და ბ) გაუგზავნონ სატახტო ქალაქების ზოგიერთ გაზეთებს სატეხნიკო საზოგადოების შესახებ მათ მიერ დაბეჭდილ კორესპონდენციების დამრღვევი ქაღალდი.

პარიზი. დელკასემ მოისურვა, ჯერ დაპარაკი იქონიოს მართკოს შესახებ წარდგენილ შეკითხვების ავტორებთან [illegible] და მერმე უპასუხოს მათ.

ჩიტა. მარგუზინის მაზრაში აკურთხეს ეკლესია, აგებული იქაურ ოქროს მადნების მომუშავეთათვის ოქროს მრეწველ იაკობ დავითის ძის ფრიზერისაგან, წმ. ილიას სახელზე.

იოჰანესბურგი. მილნერმა სთქვა ბანკეტზე სამხრეთ აფრიკაში პოლიტიკის შესახებ: „ჩვენ სახეში მივიღებთ ბურების მოთხოვნებს, მაგრამ მთავარ პუნქტებში არ დავუთმობთ არასოდესო“.

ასხაბადი. კასპიის იქითა მხარეში ეხლად დასახლებული მალაკნები ამერიკაში სახლდებიან მიზეზი—კალია და პურის მოუსავლობა უთქვიათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

16 მარტს დილით გამოვარდა ეზოდან

ჯეირანი

(კოსულია). მპოვნელს მიეცემა კარგი საჩუქარი. იკითხოს გეორგიევის ქუჩა, № 11, სახლი არჯევანიძისა. (1—120—1).

„მიქელ-ანჯელო“

ხელოვნურ ჩარჩოების მაღაზია

მიხეილის პრ. ს. სტეფანოვისა, № 67.

ბრწყინვალედ და კარგად გაკეთებული 4 მანეთად.

ვადიდებ პორტრეტებს კოხტა განიერ ჩარჩოში მინით. მრავალია ბაგეტები ჩარჩოებისა და კარნიზებისთვის მოდერნისა და როკოკოს სტილისა. ვსვამ სურათებს ჩარჩოებში. (2—119—1)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. ოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—21

პარიკმახერთა

ამქრის უსტაბაში

ივანე ნიკოლოოზის ძე მხეიძე აცხადებს საყოველთაოდ, რომ მომავალ კვირას მოხდება

საერთო ყრილობა

ამქრის ოსტატებისა. ყრილობამ უნდა გაიხილოს საქმე ოსტატების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე გააწესრიოს სამუშაო დრო და სხვა. (2—2)

СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფო) ვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (ფ.—176—209.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კანტორაში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სახლში. (25—21)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска
Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

Фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები ზინგერის ამხანაგობისა

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედწარწერით, რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად და ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—1).

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ.სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—25)

თხზულება ნ.ნიკოლაძისა

იაპონია

ფასი - 20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი

შოთა რუსთაველისა ფ.-50კ.

ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(10—7)

ნამდვილი ცელულიარული

✦ თესლი აბრეშუმისა ✦

ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა

ა. კ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პასკალიდების** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან მიიღონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—18)



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—7)

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი — ბ. ი. კურცხალიასი — კარგად დაწყობილი



ანდრეევის ქუჩა დამბაჩინის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც; მყიდველს ნება აქვს შეშა ნი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებზე. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

0—23)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

✦ ცელულიარული გრენა ✦

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოზრდის, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—ნ.—5)

ძ. ბათუმში

ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში

წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი

დონდუკოვო-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კონვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.
2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კონვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—8)

გარდეციხის მამული

ვ. ლ. მელმანისა

ჰყიდის სამყნელად და გასამრავლებლად

Rirarîa Gloire de Montpellier Rupestris de Lot .... ვაზის რქები და ფესვ-გადგმული ვაზები.

Siparia×Yupestris 3306 / Riparia×Hupestris 3309 / Rolonis×Wiparia 1616 — ვაზები — Mourvedre×Rupest.1202 / Hybride Franc. / Alicante×Rup.Terras 20

ადრესი: Ст. Ріонъ Зак. Ж. Д. Въ имѣніе Мельмана. ამიერ-კავ. რკინისგზისთვის: г. Кутаисъ, повѣстку перед. на ст. Ріонъ, въ контору имѣнія В. Л. Мельмана, получить И. Л. Гулисову. (11—11)

ტფილისის კაეპარქიო **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 სანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (1—1)

ტფილისსა და დიღომს შუა სამგზავრო ეტლი მიმოდის ყოველ დღე

დიღმიდან ვერაზე: დილის 7 საათზედ, ნაშუადღევის 3 საათ.

ვერიდან დიღომს: დილის 9 საათზედ, საღამოს 5 საათზედ

მგზავრზედ 25 კაპეიკი.

პატარა მოსწავლეთათვის 15 კაპეიკი. (10—4)

3ექვ**ე**ბ **ძმის წულს:** ანტონ ოქროპირის ძე ხეცურიანს, რომელიც 29 იანვარს წავიდა და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა. თუ ვინმემ იცის რაიმე, ვთხოვ მაცნობოს. (ადრესი: სლეპცოვის ქუჩა, № 4, სახლი ზელნიცკისა. (1—116—1)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრეი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.

(წლ.). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

საკერავი მაშინები

ყოველივე თავის მოწყობილებით.

ფასი ძლიერ პირიანია

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაფვარუხოვის ქარვასლა.

(15—3) პატივის-ცემით **გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები.**

იყიდება

იაფად ტფილისსა და გორში ხეხილის ხეები და ნერგები ქ. აფრიკიანის სანერგეს „ტრუდ“-იდან.

მსურველმა უნდა მიჰმართოს: ტფილისში—მაღაზია მელიქ-ბახტამიანცისა და ამხან. პუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკიანი. კატალოგები უფასოდ. (10—87—6)



(5—პც.—3)